ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 461

27 ნოემბერი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოლიკო ხაზეიშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ირაკლი ციციშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, სოლიკო ხაზეიშვილის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ირაკლი ციციშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გახორციელება.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X-478638.505
Y-4617981.485
X-478709.317
Y-4617933.25
I შეს.
X-478884.111
Y-4617885.169
X-478976.511
Y-4617892.899
X-479037.519
Y-4617848.261
ირაკლი ცეციშვილის ქ.
X-478985.297
Y-4617845.302
X-478889.351
Y-4617846.028
X-478720.145
Y-4617822.521
X-478595.561
Y- 4617797.549